შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილი



დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

2026-2027 სასწავლო წელი

შინაარსი

1. შესავალი
2. 2025-2026 სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი
3. საგანმანათლებლო სერვისების ჩამონათვალი:
4. სადამრიგებლო საათის პროგრამა
5. ესგ-ით გათვალისწინებული საგნების კვირეული საათობრივი დატვირთვა I-VI კლასებისთვის
6. ფაკულტატური კვირეული საათობრივი დატვირთვა I-VI კლასებისთვის:
7. სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით
8. შინაარსი (კურიკულუმის ჩარჩო)
9. სასწავლო რესურსები
10. დამატებით რესურსები
11. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა -დაწყებით საფეხურზე
12. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის ვადა
13. ინკლუზიური განათლება დაწყებით საფეხურზე.
14. დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

შესავალი

პროგრამის სახელწოდება:	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
პროგრამის განხორციელების ენა:	ქართულ ენა
კლასები	I-VI კლასებს.
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, აბაშიძის 15

საფეხურების მიხედვით, ორიენტირებულია შემდეგი მიზნების მიღწევაზე:

დაწყებით საფეხურზე საგანმანათლებლო პროცესი ორიენტირებულია შემდეგი მიზნების მიღწევაზე:

- ✓ **ფუნდამენტური კომპეტენციების ფორმირებას:** წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების ბაზისური უნარების ჩამოყალიბება/განვითარება
- ✓ **პოზიტიური აკადემიური თვითკონცეფციის ჩამოყალიბებას:** სწავლის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულების, თვითმართვისა და თვითრეგულირების საწყისი უნარების განვითარება; საკუთარი თავის (როგორც მსწავლელის) აღქმა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენის განვითარება, რაც ქმნის მყარ საფუძველს საბაზო საფეხურზე ტრანზიციისთვის;

2026-2027 სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი

სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. იმ შემთხვევაში, თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები ან ობიექტური მიზეზის გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლება.

სასწავლო წლის დასაწყისი	2026 წლის 15 სექტემბერს
სასწავლო წლის დასასრული	2027 წლის 28 მაისი- Iკლასი 2027 წლის 15 ივნისი II-VI კლასები

არდადეგები
საშემოდ: 19/11/2026-20/11/2026
საშობაო: 31/12/2026-18/01/2027
საგაზაფხ: 1/03/2027-5/03/2027

2026-2027 სასწავლო წლის კალენდარი



2026-2027 წლის კალენდარი

გაკვეთილების განრიგი

	I კლასი	II- კლასი	III, IV და V კლასები	VIკლასი
1	9.00-9.35	9.00-9.40	9.00-9.45	9.00-9.45
2	9.50-10.25	9.50-10.30	9.50-10.35	9.50-10.35
3	10.40-11.15	10.40-11.20	10.40-11.25	10.40-11.25
4	11.30-12.05	11.30-12.10	11.30-12.15	11.30-12.15
5	12.30-13.05	12.30-13.10	12.30-13.15	12.30-13.15
6	13.30-14.05	13.30-14.10	13.30-14.15	13.30-14.15
7	14.20-14.55	14.20-15.00	14.20-15.05	14.20-15.05
8	15.10-15.45	15.10-15.50	15.10-15.55	15.10-15.55
9	16.00-16.35	16.00-16.40	16.00-16.45	
10	16.50-17.25	16.50-17.30	16.50-17.35	

საგანმანათლებლო სერვისების ჩამონათვალი:

სავალდებულო საგანი (საგნობრივი ჯგუფების მიხედვით)

N	საგნობრივი ჯგუფი	საგანი	კლასები
1	სახელმწიფო ენა	ქართული ენა და ლიტერატურა	I-VI
2	მათემატიკა	მათემატიკა	I-VI
		ჭადრაკი	I-II
3.	უცხოური ენები	პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	I-VI
		მეორე უცხოური ენა /რუსული ენა/	V-VI
4.	საზოგადოებრივი მეცნიერებები	მე და საზოგადოება	III-IV
		ჩვენი საქართველო	V-VI
5.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველება	I-VI
6.	ტექნოლოგიები	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	I-VI
7.	ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	I-VI
		მუსიკა	I-VI
8.	სპორტი	ფიზიკური აღზრდა	I-VI

სადამრიგებლო საათის პროგრამა



საწყებითი
საფეხურის სადამრ

თითოეული საგნისთვის კურიკულუმის დაგეგმვა

1.1კვირეული საათობრივი დატვირთვა I-VI კლასებისთვის:

კლასები და სემესტრები	I კლასი		II კლასი		III კლასი		IV კლასი		V კლასი		VI კლასი	
საგანი	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს
სახელმწიფო ენა												
ქართული ენა და ლიტერატურა	8	8	7	7	6	6	6	6	5	5	5	5
მათემატიკა												
მათემატიკა	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
უცხოური ენები												
პირველი უცხოური ენა	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
მეორე უცხოური ენა(გერმანული ენა/ ფრანგული ენა/იტალიური ენა)									5	5	5	5
საზოგადოებრივი მეცნიერებები												
მე და საზოგადოება					2	2	2	2				
ჩვენი საქართველო									2	2	3	3
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები												
ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	2	2	2	2	3	3	3	3
ტექნოლოგიები												
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	1	1	1	1	1	1	1	1	2	2	2	2
ესთეტიკური აღზრდა												
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
მუსიკა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	1	1
ფიზიკური აღზრდა												
ფიზიკური აღზრდა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
ჭადრაკი	1	1	1	1								
სულ კვირეული საათობრივი დატვირთვა	**28**	**28**	**27**	**27**	**27**	**27**	**27**	**27**	**33**	**33**	**33**	**33**

ფაკულტატური კვირეული საათობრივი დატვირთვა I-VI კლასებისთვის:

კლასები და სემესტრები	I კლასი		II კლასი		III კლასი		IV კლასი		V კლასი		VI კლასი	
საგანი	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს
მეორე უცხოურიენა(გერმანული ენა/ ფრანგული ენა/იტალიური ენა)							5	5				
მეორე უცხოურიენა(რუსული ენა)			3	3	3	3	3	3	2	2	2	2
ხელგარჯილობა	1	1	1	1								
ცეკვა	2	2	2	2	2	2	2	2				
კითხვის საათი	2	2	2	2	2	2	1	1	1	1		
განმავითარებელი თამაშები	1	1	1	1	1	1						
ფეხბურთი	2	2	2	2	2	2	2	2				
ჭადრაკი	1	1	1	1	2	2	2	2	2	2		

სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით


სახელმწიფო ენა-საგნობრივი ჯ


მათემატიკა-მიზნებ


უცხოური ენები-მიზნები


საზოგადოებრივი -მიზნები


საბუნებისმეტყველო-მიზნები


ტექნოლოგიები-მიზნები


ესთეტიკური აღზრდა-მიზნები


ფიზ. მომზადება დ სპორტი

შინაარსი (კურიკულუმის ჩარჩო)

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შინაარსი მოცემულია დაწყებით საფეხურზე სავალდებულო საგნების მიხედვით.

სავალდებული საგნის ფარგლებში განსაზღვრული გრაძელვადიანი მიზნები მუშავდება თემატური ერთეულის ფარგლებში საკითხეზე დაყრდნობით. შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება ისეთი დავალების სახით, რომელზეც მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნაზეა აგებული.

სასწავლო რესურსები - დაწყებით საფეხურის კურიკულუმების განხორციელებისთვის განსაზღვრულია სასწავლო რესურსები. ,გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამატებითი რესურსები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით (MES 3 23 0000957822 02/08/2023; MES 2 23 0000903712 19/07/2023; MES 32400009660 12/08/2024; MES 3 226 000 1224389 14/09/2026; MES 326 000 122 46 96 14/19/2026) სკოლაში ინგლისური ენა(ყველა კლასში), მათემატიკა(II, III, IV, VI კლასებში) ბუნებისმეტყველება(VI კლასში) - დაწყებით საფეხურზე ისწავლება არაგრიფირებული სახელმძღვანელოებთ.

გრიფირებული სახელმძღვანელოები


დაწყებითი 2026-2027 სახელმძ

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა- დაწყებით საფეხურზე

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა. შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. შეფასების პროცესში მოსწავლე განიხილება ცნობისმოყვარე, საკუთარი ინტერესების, ხასიათისა და გამოცდილებების მქონე ინდივიდად, რომელსაც უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი არეალი მოქმედებისა და უკუკავშირისთვის.

მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;

ბ) მოსწავლის მიღწევების / სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა;

გ) მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ

დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება:
ა) აჩვენებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას/პროგრესს;
ბ) ქმნის მხარდაჭერის მექანიზმს მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის. **განმსაზღვრელი შეფასება** ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასება უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას.

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე შეფასდება განმავითარებელი შეფასებით. წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები დაწერენ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებენ მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.
V კლასის მეორე სემესტრსა და VIკლასებში გამოყენებული იქნება როგროც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება. არადიფერენცირებული შეფასება ,,ჩათვლა“ გამოიყენება სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში. თემატური ერთეულის ფარგლებში მუშავდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რურიკები.
I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.
შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.).
მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს სკოლის მიერ განსაზღვრული ყველა შემაჯამებელი დავალება;
თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა აძლევს საშუალებას, მისი სკოლაში გამოცხადებიდან **10 სასწავლო დღის ვადაში**, შეასრულოს გაცდენილი შემაჯამებელი დავალება მასსა და მასწავლებელს შორის

შეთანხმებულ დროს იმავე ფორმით (მაგრამ განსხვავებული შინაარსით), როგორი ფორმითაც შეასრულა მთლიანმა კლასმა;
შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა სემესტრების და კლასების მიხედვით განისაზღვრება საგნობრივი კურუკულუმებით
დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის ვადა

სკოლა უზრუნველყოფს შესასებასთან დაკავშირებული მონაცემების /ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანად აღრიცხვას დ ა შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

წლიური გამოცდები დაწყებით საფეხურზე

წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა ჩატარდება V, VI კლასებში შემდეგ საგნებში:
ქართულ ენასა და ლიტერატურაში;
მათემატიკაში;
ინგლისურ ენაში.

V და VI კლასებში გამოცდის განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება განმავითარებელი მიზნებისთვის.

ინკლუზიური განათლება დაწყებით საფეხურზე. სსსმ მოსწავლეებისთვის-სკოლა საჭიროების მიხედვით სსსმ მოსწავლისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ეგემა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისად.

ისგ ფორმა ნიმუში

2026-20267 სასწავლო წელს დაწყებით საფეხურზე სსსმ მოსწავლე არ სწავლობს

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს ამ დოკუმენტის დანართს